

ძველი და ახალი მედიები სწავლებისა და სწავლის პროცესში

რამაზ სვანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ramaz.svanidze@yahoo.com

ანოტაცია: მედიების გარეშე წარმოუდგენელია როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ასევე თანამედროვე განათლების სისტემა და სასწავლო გარემო. სტატიაში შევეცადე გამეცა პასუხი, რას ნიშნავს მედიალური კომპეტენცია უმაღლეს სასწავლებელში და როგორ უნდა გამოვიყენოთ ძველი და ახალი მედიები ეფექტურად. კვლევის მეთოდებმა საშუალება მომცა შემესწავლა როგორც თეორიული მასალა, ასევე დამედგინა რა დამოკიდებულება აქვს სწავლებისა და სწავლის პროცესის მონაწილეებს მედიებისადმი.

საკვანძო სიტყვები: ძველი და ახალი მედიები, მედია-კომპეტენცია, ელექტრონული სწავლება

I. შესავალი

მედიების გარეშე წარმოუდგენელია როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ასევე თანამედროვე განათლების სისტემა და სასწავლო გარემო. სტატიაში შევეცადე გავცე პასუხი, რას ნიშნავს მედიალური კომპეტენცია უმაღლეს სასწავლებელში და როგორ უნდა გამოვიყენოთ ძველი და ახალი მედიები ეფექტურად. კვლევის მეთოდები საშუალებას მომცემს შევისწავლო როგორც თეორიული მასალა, ასევე დავადგინო რა დამოკიდებულება აქვს სწავლებისა და სწავლის პროცესის მონაწილეებს მედიებისადმი.

II. მედია, სწავლა და სწავლება

პირველ რიგში, მინდა განვიხილო სწავლის თეორიები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში დომინირებდა და სწავლებისა და სწავლების პროცესის მიმართულების განმსაზღვრელი იყო. **ბიპევიორისტები** სწავლას განიხილავდნენ

როგორც სტიმულისა და რეაქციის შედეგს. მოსწავლის შინაგანი ბუნება, როგორც “შავი ყუთი”, სრულიად იგნორირებული იყო, რადგანაც ის მთლიანად გარე სამყაროზე იყო დამოკიდებული. პრობლემის გადაჭრის ნაცვლად ინფორმაციის გადაცემა იყო პრიორიტეტული. მასწავლებელი, როგორც ცენტრალური ფიგურა, დადებითი და უარყოფითი შეფასებებით წარმართავდა სასწავლო პროცესს. **კოგნიტივიზმის** მიხედვით, მოსწავლე, როგორც ინფორმაციის მიმღები-გადამამუშავებელი და გამცემი, აქტიურია, რადგან მისი ქმედება პრობლემის გადაჭრას ემსახურება. მასწავლებელი ფლობს მონოპოლიას ცოდნაზე და სწავლის პროცესის ძირითადი წარმმართველია. მოსწავლე ცდილობს საკუთარი გზებით „სწორ“ შედეგამდე მისვლას. **კონსტრუქტივისტები** მიიჩნევენ, რომ მოსწავლეები სოციალური ინტერაქციის, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ინტერპრეტაციის საშუალებით თავად აგებენ ცოდნას. მნიშვნელოვანია ავთენტური და მრავალფეროვანი სოციალური კონტექსტები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას უზრუნველყოფს. მასწავლებელი “ტრენერის”, “მრჩევლისა” და „მეგზურის“ ამპლუაში გამოდის. მათი უპირატესობას ანიჭებს პრაგმატულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც არც ერთი პარადიგმა არ გამოირჩევა უპირატესობით და ისინი ერთმანეთს ავსებენ [2, 6]. ჩემი აზრით, ნებისმიერ მიდგომაში შესაძლოა დადებითი ასპექტის მოძიება, ამიტომაც არცერთი პარადიგმის სრული იგნორირება გამართლებულად არ მიმაჩნია. ეს დამოკიდებულება უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც ახალი, ასევე ძველი მედიების გამოყენებისას.

ცოდნის საზოგადოება სწავლებისა და სწავლის კულტურის ახლებურ გადააზრებას მოითხოვს, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცოდნის შექმნასა და გენერირებაზე, ასევე უნარების შემუშავება-განვითარებაზე, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ქმედებასა და თვითმართვას [1, 5]. ასეთი მიდგომის ფარგლებში მასწავლებელს სხვა ფუნქცია-მოვალეობები გააჩნია.

ელექტრონული სწავლება თანამედროვე გლობალურ სამყაროში სწავლებისა და სწავლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რაც მრავალმხრივი კომპეტენციის შექმნა-განვითარებას უწყობს ხელს. საინტერესოა ელექტრონული სწავლების კერესისეული განმარტება: *Unter E-Learning werden „alle Formen von Lernen verstanden, bei denen elektronische oder digitale Medien für die Präsentation und Distribution von Lernmaterialien und/oder zur Unterstützung zwischenmenschlicher Kommunikation zum Einsatz kommen“* [4]. ებნერის et. al. მიხედვით, ელექტრონული სწავლება ფართო გაგებით მოიცავს ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენებას, ხოლო ვიწრო გაგებით დისტანციურ სწავლებას, რომლისთვისაც აუცილებელია ინტერნეტი და კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი [3].

მუდლი (Moodle) წარმოადგენს ინგლისური ტერმინის *module Object-Oriented Dynamic Learning Environment* აბრევიატურას. ის განათლების მართვის მულტიფუნქციური, ეფექტური და თანამედროვე სისტემაა, რომელიც ძალზედ პოპულარულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მის პოპულარობას განაპირობებს, ერთი მხრივ, მოხმარების სიმარტივე და ტრანსპარენტულობა (ინფორმაციის განთავსებისა და რედაქტირების ფუნქციების ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესის მონაწილეთა როლების გათვალისწინება, ეფექტური უკუკავშირი და ა.შ.), მეორე მხრივ, დისტანციური ბარიერის გადალახვა (ნებისმიერი ადგილიდან შესაძლებელია სასწავლო პროცესში ჩართვა, თუ ტექნიკური პირობები იძლევა ამის საშუალებას). მუდლის პლატფორმაზე მრავალფეროვანი საშუალებები (ხელსაწყოები) გამოიყენება:

ფორუმი, ვიკი, ჩეთი, ვიდეო და აუდიო მონაცემთა ბაზა, ლექსიკონი, კენჭისყრა, თვით- და ურთიერთშეფასება, უახლესი ონლაინ სავარჯიშოები, ონლაინ ტესტები. აუცილებელია ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.

2017 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩავატარე გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 29 სტუდენტმა. აქედან 22 ჰუმანიტარული ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო, 5 - პედაგოგიური და 2 ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა. სპეციალობები შემდეგნაირად გადაწილდა: ქართული ფილოლოგია - 7, გერმანული ფილოლოგია - 8, ინგლისური ფილოლოგია - 7, დაწყებითები - 5, ეკონომიკა - 1, ბიზნესის ადმინისტრირება - 1. გამოკითხულთა ასაკი განისაზღვრა 18-დან 22 წლამდე. უმეტესობა მდებრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (24). ყველაზე მეტი პოპულარობით თავისუფალ დროს სტუდენტები შემდეგი მედიებით სარგებლობენ: მობილური/სმარტფონი (28), კომპიუტერი (ინტერნეტი) (28), წიგნი (26), ტელევიზორი (23). დანარჩენი მედიებისადმი ინტერესი შედარებით ნაკლებია: MP3-პლეერი (8), ციფრული ფოტოაპარატი (8), CD -პლეერი (4), გაზეთი (3), რადიო (3), ტაბლეტი (3), ვიდეოკამერა (2), კომპიუტერული თამაშები (2), DVD-პლეერი (1). რაც შეეხება ლექცია-სემინარებზე გამოყენებულ მედიებს, თითქმის ყოველდღიური მოხმარების მსგავსია. თუმცა აღსანიშნავია, რომ წიგნი (27) უპირობოდ ლიდერობს, რომელსაც მოსდევს მობილური/სმარტფონი (20) და კომპიუტერი (ინტერნეტი) (19). მცირე დოზით გამოიყენება ასევე სხვა მედიები: MP3-პლეერი (4), ციფრული ფოტოაპარატი (4), გაზეთი (3), ტაბლეტი (1). აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ ახალი მედიები არ ანაცვლებს ძველ მედიებს, არამედ განავრცობს მათ. მედიების გამოყენების სიხშირეს განაპირობებს მათი საკუთრებაში ფლობა. ამ მხრივ, სრულიად ლოგიკურია ეს შედეგი: მობილური/სმარტფონი (24), კომპიუტერი (ინტერნეტი) (24), წიგნი (18), ტელევიზორი (18). ასევე აღსანიშნავია შემდეგი მედიები: ციფრული ფოტოაპარატი (5), MP3-პლეერი (4)

და გაზეთი (4). მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა მათთვის მნიშვნელოვან მედიებში მობილურის, სმარტფონისა და კომპიუტერის გვერდით თანაბარი რაოდენობით წიგნს ასახელებს (24). ტელევიზიამ ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობა დააგროვა (12). რაც შეეხება გამოყენების სიხშირეს, პოპულარული მედიების (მობილური/სმარტფონი, კომპიუტერი, წიგნი, ტელევიზორი) მოხმარება თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს, დანარჩენებისა კი - იშვიათია ან თითქმის არ სარგებლობენ. განსხვავებულია ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე თავისუფალ დროსა (ყოველდღიურად - 25) და ლექცია-სემინარებზე (ყოველდღიურად - 5, რამდენიმეჯერ კვირაში - 15). გამოკითხულები ინტერნეტსა და კომპიუტერს თავისუფალ დროს მრავალფეროვანი აქტივობებისათვის იყენებენ: მუსიკის მოსმენა (29), ინფორმაციის მოძიება (28), ფეისბუკი (28), ფილმების ნახვა (26), იუთუბი (26), ვიკიპედია (24), საძიებო სისტემები (23), მაილი (22), ვიდეოს ნახვა (21). ასევე პოპულარულია შემდეგი აქტივობები: ჩატი (15), ონლაინ ტესტები (15), სასწავლო პროგრამა (14), სკაიპი (13), ონლაინ სავარჯიშოები (11), საყიდლები (11), სატელევიზიო გადაცემების ყურება (11), ფოტოს დამუშავება (11). გამოკითხულები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შემდეგ აქტივობებს: თამაშები (8), ვოტსაპი (5), რადიოს მოსმენა (5), ტვიტერი (4), ბლოგი (3), ტექსტის/სიტყვების აკრეფა (2), მუდლი (2). ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენება ლექცია-სემინარებზე ნაკლებად მრავალფეროვანია და შემდეგი აქტივობებით შემოიფარგლება: საძიებო სისტემები (15), ინფორმაციის მოძიება (6), ვიკიპედია (6). სხვა აქტივობები ნაკლები სიხშირით გამოირჩევა. რაც შეეხება საოფისე პროგრამებს, ერთნაირია Word-ის მოხმარება სწავლების პროცესში და თავისუფალ დროს. გამოკითხულთა აზრით, თითქმის ორჯერ უფრო ხშირად გამოიყენება უნივერსიტეტში PowerPoint და Excel, ხოლო Photoshop-ით მხოლოდ თავისუფალ დროს სარგებლობენ. გამოკითხულ სტუდენტთა თითქმის მესამედი სარგებლობს მუდლით, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ პლატფორმას

მხოლოდ სწავლის ორგანიზაციის კუთხით გამოიყენებს.

III. დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ სწავლება და სწავლა უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, რაც აქტიური სტუდენტების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მედიების გამოყენება ლექცია-სემინარზე მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს და სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს (მაგალითად, მიზნები, კონცეფცია, დრო, პრეზენტაციის, მეთოდებისა და უკუკავშირის ფორმები). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ძველი, ასევე ახალი მედიების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში თვითმიზნად არ უნდა იქცეს და დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურ მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] შდრ. დაუშვილი, ნ.: ახალი მედია-ტექნოლოგიები სწავლისა და სწავლების პროცესში. GESJ: Education Science and Psychology 2012 | No.3(22) Republican Scientific Conference: "Education and Modernity". გვ: 109-110.
- [2] შდრ. ჯანაშია, ნ., იმედაძე, ნ., გორგოძე, ს.: განვითარებისა და სწავლის თეორიები.// მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008. გვ: 72-73, 107-109.)
- [3] შდრ. Ebner, M., Schön, S.(Hrsg.): Lehrbuch für Lernen und Lehren mit Technologien. Epubli. 2013. S. 13.
- [4] Kerres, M.: Multimediale und telemediale Lernumgebungen. Konzeption und Entwicklung. Oldenburg Wissenschaftsverlag, 2001. In: Schürer-Maly, Cornelia-C. et. al.: E-Learning in der Allgemeinmedizin (ELA) - E-Learning in Family Medicine in Germany. Deutscher Ärzte-Verlag, ZFA, Z Allg Med 2012; 88 (2), S. 70.
- [5] Mandl, H., Kopp, B.: Auf dem Weg zu einer neuen Lehr-Lernkultur. Ein Beitrag zum situierten Lernen. In: Altenberg, H., Schettgen, P., Scholz, M. (Hrsg.): Innovative Ansätze konstruktiven Lernens. Augsburg: Ziel, 2003. S. 70-88.

- [6] ၵᄃᄃ. Meir, S.: elearning-plus. S. 9-15.
https://lehrerfortbildung-bw.de/st_digital/elearning/moodle/praxis/einfuehrung/material/2_meir_9-19.pdf